# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 42

20 19 წ. „02“ 12

ქ. თბილისი

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, $56^3$ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 245628496) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 900-ით.
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის №21 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე; ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

**თავმჯდომარე**

მარიამ დარბაიძე

**მდივანი**

ნინო ხოლუაშვილი

დანართი

| № | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით) | ECTS | პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტექსტილის დიზაინი - minor | ქართული | არ ენიჭება კვალიფიკაცია | 60 | აკრედიტებული |
| 2 | სამოსის დიზაინი - minor | ქართული | არ ენიჭება კვალიფიკაცია | 60 | აკრედიტებული |
| 3 | ხელოვნებათმცოდნეობა - minor | ქართული | არ ენიჭება კვალიფიკაცია | 60 | აკრედიტებული |
| 4 | კულტურის მენეჯმენტი - minor | ქართული | არ ენიჭება კვალიფიკაცია | 60 | აკრედიტებული |

| № | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით) | ECTS | პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი) | ქართული | დიზაინის ბაკალავრი 0803 | 240 | აკრედიტებული |
| 2 | არქიტექტურა | ქართული | არქიტექტურის ბაკალავრი 1101 | 240 | აკრედიტებული |
| 3 | ფერწერა | ქართული | სახვითი ხელოვნების ბაკალავრი 0806 | 240 | ავტორიზებული |
| 4 | სამსახიობო ხელოვნება | ქართული | თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი 0804 | 240 | აკრედიტებული |
| 5 | აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა) | ქართული | აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი 0801 | 240 | აკრედიტებული |
| 6 | სამოსის დიზაინი | ქართული | დიზაინის მაგისტრი 0803 | 120 | აკრედიტებული |
| 7 | საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა) | ქართული | თეატრალური ხელოვნების მაგისტრი 0804 | 120 | აკრედიტებული |
| 8 | აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) | ქართული | აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი 0801 | 120 | აკრედიტებული |
| 9 | ხელოვნებათმცოდნეობა | ქართული | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი 10 | 240 | აკრედიტებული |
| 10 | ტელე-რადიო ჟურნალისტიკა | ქართული | მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი 0703 | 240 | აკრედიტებული |
| 11 | კულტურის მენეჯმენტი | ქართული | მენეჯმენტის ბაკალავრი 0203 | 240 | აკრედიტებული |
| 12 | კულტურული ტურიზმი | ქართული | ტურიზმის ბაკალავრი 1120 | 240 | აკრედიტებული |
| 13 | ხელოვნების მენეჯმენტი | ქართული | ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი 020302 | 120 | აკრედიტებული |
| 14 | ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნობა) | ქართული | ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი 1007 | 120 | აკრედიტებული |
| 15 | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი | ქართული | არ ენიჭება კვალიფიკაცია | 60 | აკრედიტებული |
| 16 | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის/აზერბაიჯანულენოვანთათვის | ქართული | არ ენიჭება კვალიფიკაცია | 60 | ავტორიზებული |
| 17 | სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური | ქართული | სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი 0805 | 240 | აკრედიტებული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სიმღერა; აკადემიური გუნდის დირიჟორობა; საორკესტრო) | | | | |
| 18 | სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა; საორკესტრო) | ქართული | სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 0805 | 120 | აკრედიტებული |